პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 თებერვალი, კვირა, 1988 წ.
№ 27 (9688) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 70 წლისაა

(მასალები იხ. მე-2 გვ.)



ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი სროლაში

# ისევ ნინო სალუქვაძე

...მოვიდა სასიხარულო ცნობა: ნინო სალუქვაძემ... ასეთი დასაწყისი, ვინ იცის რამდენჯერ წაგვიმძღვარებია ჩვენც და სხვა რედაქციებსაც საგაზეთო წერილისათვის, რომელშიც ჩვენი შესანიშნავი სნაიპერის მორიგ წარმატებაზე ვიუწყებოდით. ლამისაა შემოვილოთ რუბრიკა: „ნინო სალუქვაძის წარმატებები". არადა, ეს გამარჯვებები იმდენია, გვეშინია კიდეც, ხომ არ აღვიქვამთ ჩვენც და ჩვენი გაზეთის მკითხველებიც ამ მართლაც გამორჩეულ მიღწევებს მექანიკურად, სათანადო შეფასების გარეშე.



ნინო სალუქვაძე.

ეს ლვოვიდან მიღებული ცნობა მით უფრო სასიხარულოა, რომ ნინო სალუქვაძე, სულ ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელსაც ჯერ 19 წელიც არ შესრულებია, ოლიმპიურ სეზონს ბრწყინვალედ მომზადებული შეხვდა და კვლავ ყველას დაუმტკიცა, ვინ არის უძლიერესი დღესდღეობით მთელს ქვეყანაში. ლვოვში, საკავშირო პირველობაში ნინომ პირდაპირ საოცარი შედეგი აჩვენა პნევმატური პისტოლეტით სროლაში (პპ-2) — 395 ქულა. ეს მიღწევა საგრძნობლად აღემატება მსოფლიო რეკორდს, ოღონდ შეჯიბრების რანგი მისი ოფიციალური დამტკიცების საშუალებას არ იძლევა — მსოფლიო რეკორდს მხოლოდ ევროპისა, მსოფლიო ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებში თუ აქვს ოფიციალური ძალა. ნინოს შედეგი მხოლოდ საბჭოთა კავშირის ახალ რეკორდად დამტკიცდება.

ქართველმა სნაიპერმა, რომელიც არმიის სპორტული კლუბის სახელს იცავს, ფინალშიც შესანიშნავად ისროლა და შეჯიბრების ორივე ნაწილის ჯამში ყველა მონაწილე ჩამოიტოვა უკან.

ამჯერად მსროლელთა შეჯიბრების ამბავს მარტო ნინო სალუქვაძის წარმატებით არ დავამთავრებთ: ლვოვში ასევე ბრწყინვალედ გამოვიდა ქუთაისელი ილია ჩაგანავა, რომელმაც „გაქცეულ ტახზე" სროლაში 594 ქულა მოაგროვა. შედარებისთვის: ამ სახეობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი 585 ქულაა. დინამოელმა სპორტსმენმა ფინალში ამ შედეგს კიდევ 98 ქულა დაუმატა და 692 ქულით პირველი



ილია ჩაგანავა.

ადგილი დაიკავა. ორივე ქართველი სნაიპერი საწვრთნელ შეკრებაზე დარჩება, იქ შეირჩევა ქვეყნის ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ჩემპიონატი თებერვლის ბოლოს ნორვეგიაში გაიმართება.

## ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შესახვედრად

ამ დღეებში „ლელოში" გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში „თბილისი სამაგალითო უნდა იყოს", ვიუწყებოდით, რომ გათვალისწინებულია ჩატარდეს თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც განიხილავს დედაქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხს. მკითხველებს ვთხოვდით გამოეთქვათ თავიანთი აზრი და შენიშვნები, წამოეყენებინათ კონკრეტული წინადადებები. და აი, სარედაქციო ფოსტას უკვე მოაქვს წერილები, რომლებშიც თბილისელები თავიანთ სურვილებს გვიზიარებენ.

## ძეგლები თუ ჯანმრთელობის კერები?

ზოგჯერ, როცა უყურებ თბილისში აგებულ შესანიშნავ სპორტულ ბაზებს, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ქალაქში სპორტული ძეგლები დგანან და არა ჯანმრთელობის კერები, სადაც, როგორც იტყვიან, დილიდან გვიან ღამემდე უნდა დუღდეს და გადმოდუღდეს ხალისიანი ცხოვრება. მაგრამ ასე არ ხდება, სხვათა შორის, ასე არ ხდება მხოლოდ ჩვენთან, თბილისში, თორემ მოსკოვში და კიევში, რაც პირადად მე მინახავს, სპორტულ ბაზებზე მისვლელ-მომსვლელთა ნაკადი არ წყდება.

გაოცებული დავრჩი, როცა კიევში ყოფნისას ცენტრალურ სტადიონზე მიმიწვიეს. ეს იყო შარშან ზაფხულში, ერთ საღამოს. მძლეოსნურ ბილიკებზე და სექტორებში ხომ ტევა არ იყო — ხალხი ვარჯიშობდა, თვით მწვანე მინდორზე კი დათვის ბელებივით დაბაჯბაჯებდნენ და ლაღობდნენ სულ პატარები, რომელთა ნაბიჯების სიმძიმე მოლს არაფერს ვნებს. თურმე აქ ასეთი წესია: სტადიონის კარი ყოველთვის ღიაა ჩვილებისთვის, რომლებსაც უფროსები სტადიონის ტერიტორიაზე და მძლეოსნურ ბილიკებზე საბავშვო ეტლით ასეირნებენ, მერე კი ფეხს პირდაპირ სტადიონის მწვანე საფარზე იდგამენ, ფეხის ადგმა და ბურთთან გაცნობიერება ერთია. აი, რა კარგად და გონივრულად ხდება ყველაფერი.

მოდი და ამის შემდეგ კაცს გული ნუ გეტკინება, როცა ჩვენს სტადიონებს ჩაუვლი.

**ნოდარ კუპატაძე,**
**მშენებელი ინჟინერი.**

## რა გახდა ერთი ჯიხური...

**ბევრჯერ** დაიწერა, მაგრამ არაფერი გამოვიდა — თბილისში დღემდე არ გვაქვს ერთი საინფორმაციო ჯიხური, სადაც თბილისელი მიაკითხავს და გაიგებს სად ჩაეწეროს გამაჯანსაღებელ ჯგუფში, სად მიმდინარეობს მიღება სპორტულ სექციებში ბავშვებისთვის, როგორია პირობები და ა. შ. ალბათ იქვე უნდა იყიდებოდეს სპორტულ ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთები, პროგრამები, სპორტული ატრიბუტიკა. ერთი სიტყვით, გვჭირდება ასეთი ჯიხური.

მახსოვს, ამ ორი წლის წინ ამბობდნენ ასეთი ჯიხური კიროვის სახელობის პარკის შესასვლელთან უნდა დაიდგასო. დავალებაც მიიღო ქალაქის სპორტკომიტეტმა, მაგრამ...

იქნებ ახლა მაინც მოგვარდეს ეს საკითხი.

**ვახტანგ ნასიძე.**

## ყურადღება!

**ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების ჩატარების მზადებასთან დაკავშირებით „ლელოს" რედაქციაში ხვალიდან პირდაპირი სატელეფონო კავშირი გვექნება მკითხველებთან. 10-დან 16 საათამდე, ყოველდღიურად, გარდა ხუთშაბათისა და კვირისა, რედაქციის თანამშრომელი თქვენგან მიიღებს ინფორმაციებს იმ საკითხებზე, რაზედაც გსურთ ყურადღება გამახვილდეს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.**

**მკითხველებთან პირდაპირი კავშირის ტელეფონის ნომერია 93-97-55.**



## სამივე სინჯის მედლები

**ალმა-ათა. ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის სპორტის სასახლეში გრძელდება ძიუდოისტთა XVI საკავშირო ჩემპიონატი.**

გათამაშდა მედლების კიდევ ორი კომპლექტი. 78 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში ძალები აშკარად უთანაბრო იყო. ყოველ შემთხვევაში 23 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს ბაშირ ვარაევს (გროზნო) სპეციალისტები გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ მახაჩყალელ რაშიდ იბრაჰიმოვთან შეხვედრაში. ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც, უფრო სწორად ტექნიკურ მეტოქეს მახაჩყალელმა ძიუდოისტმა ვერაფერი დაუპირისპირა და მსაჯებმა იგი პასიურობისთვის მოხსნეს. ვარაევი სსრ კავშირის ჩემპიონი მეოთხედ გახდა. როგორც ვიუწყებოდით, ამ წონაში ბრინჯაოს ჯილდო გორელ ენგურ გოგიჩაშვილს ერგო.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ფინალური შეხვედრა 86 კგ წონაში სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს ვიტალი პესნიაკსა (მინსკი) და სუმგაითელ ფარხად რაჯაბლის შორის. გამარჯვებული ამ ორთაბრძოლაში მსაჯების აზრით გამოვლინდა, რომლებმაც უპირატესობა უფრო გამოცდილ პესნიაკს მიაკუთვნეს.

ორი დღის განმავლობაში საქართველოს ძიუდოისტებმა ერთი ოქროს (კ. კურტანიძე), ერთი ვერცხლისა (ა. კიბორძალიძე) და ერთიც ბრინჯაოს (ე. გოგიჩაშვილი) მედლები მოიპოვეს.

**ტექნიკური შედეგები. 78 კგ.** 1. ბ. ვარაევი (გროზნო), 2. რაშიდ იბრაჰიმოვი (მახაჩყალა), 3. ე. გოგიჩაშვილი (გორი) და ვ. ბატიუკინი (მოსკოვი).

**86 კგ.** 1. ვ. პესნიაკი (მინსკი), 2. ფ. რაჯაბლი (სუმგაითი), 3. ო. მალიშევი (კრასნოიარსკი) და ს. ზლობინი (ქერჩი).

## ცირკი, ფალავანთა სარბიელი

**თბილისის** სახელმწიფო ცირკში გრძელდება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის ქალაქების უბნებისა და სოფლების პირველობის შეხვედრები.

9:0 — კასპის რაიონის სოფელ მეტეხის ფალავნებმა გუშინ ასეთი ანგარიშით დაამარცხეს გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს წარმომადგენლები. შემდეგ სარბიელზე გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის სოფელ ერედვისა და სოფელ ბაზალეთის (დუშეთი) მოჭიდავეები. გაიმარჯვეს ბაზალეთელებმა 5:4.

ფალავნის სახელი მოიპოვა დუშეთელმა დ. ძიძიშვილმა.

**ჭადრაკი. წყალტუბო.** ლიტინსკაია-გაფრინდაშვილი — 0,5:0,5, ახმილოვსკაია-ბრუსტმანი — 1:0, ალექსანდრია-იოსელიანი — 1:0, არახამია-ლევიტინა — 0,5:0,5.



ზამთარი თბილისის იპოდრომზე (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 70 წლისაა

## ცადატყორცნილი სახელები

**ახლა,** როცა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 70-ე წლისთავს ვზეიმობთ, 1977 წელიც გვახსენდება. მაშინ უნივერსიტეტის მთამსვლელთა სექციის წევრები ჰაუხების მასივის ერთ-ერთ მწვერვალზე — თბილისის უნივერსიტეტის პიკზე ავედით. მწვერვალს ეს სახელი უწოდეს ისევ ამ უმაღლესი სასწავლებლის მთამსვლელებმა, რომლებსაც თბილისის უნივერსიტეტის, ნახევარგამტარების პრობლემური ლაბორატორიის გამგე, ცნობილი ალპინისტი შოთა მირიანაშვილი ხელმძღვანელობდა.

ბიც გვახსენდება: „ჩვენი სტუდენტობა იყო ჩვენგანვე შექმნილი ძმობა, უნივერსიტეტის ბაღი, სეირნობა და სიყვარული გაუმაძღარი. ჩვენი სტუდენტობა იყო სპორტი, ურომლისოდაც უნივერსიტეტი არ არსებობდა.

სპორტს ზურგს შეაქცევდი და დედიშენის შვილი იყავი, უნივერსიტეტის რექტორს, ნიკო კეცხოველს დაენახვებოდი. აქედან დასკვნა: უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი, რა თქმა უნდა, სპორტსმენი იყო.

დიახ, ნიკო კეცხოველის დამსა-



ამ მწვერვალების სახელები თბილისის უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული.

მწვერვალის ნათლობა თბილისის უნივერსიტეტის — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრის — ავტორიტეტის აღიარების თავისებური გამოხატულება იყო.

თბილისის უნივერსიტეტში ჩაეყარა საფუძველი მრავალ მეცნიერულ სკოლას, რომლებმაც უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვეს არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მთელს მსოფლიოშია აღიარებული აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მათემატიკური სკოლა და აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიური სკოლა, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ქართველ ფიზიკოსთა თუ ქიმიკოსთა, ისტორიკოსთა თუ ენათმეცნიერთა, გეოლოგთა თუ სხვა დარგების მეცნიერთა გამოკვლევები, რომლებიც თარგმნილია რუსულ და უცხოურ ენებზე და შესულია საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა საგანძურში.

ერთხანს თბილისის უნივერსიტეტი საქართველოში ეულად ეწეოდა უმაღლესი განათლების საქმეს, შემდეგ უნივერსიტეტის ბაზაზე ბევრი ინსტიტუტი შეიქმნა. პირველი მერცხალი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც ძირითადად უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა. ცოტა მოგვიანებით უნივერსიტეტს გამოეყო სამკურნალო ფაკულტეტი და სამედიცინო ინსტიტუტად ჩამოყალიბდა...

თბილისის უნივერსიტეტის პირმშოა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტიც, მაგრამ ფიზკულტურის ფაკულტეტის გამოყოფის შემდეგ უნივერსიტეტი კვლავ სპორტსმენთა დიდ მოამაგედ დარჩა.

ახლა, უნივერსიტეტის ისტორიის „წიგნს" რომ ვფურცლავთ, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის სიტყვეხურება იყო ის, რომ ჩემი დროის სტუდენტი ჯანიანი იყო და სხარტი. ეს ხელს უწყობდა გონების ვარჯიშსაც".

კეცხოველის რექტორობის წლები, რვა წელიწადი, ყველასთვის კეთილმოსაგონარი გამხდარა, თუმცა ბატონმა ნიკომ მეტად ძნელ პერიოდში, დიდი სამამულო ომის დამთავრების წელს ჩაიბარა უნივერსიტეტი.

მაშინ, კეცხოველის რექტორობის პერიოდში, ბევრი, ძალზე ბევრი რამ გაკეთდა უნივერსიტეტში. სტუდენტური სპორტის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა 1947 წელს შექმნილმა სპორტულმა კლუბმა, რომლის თავმჯდომარეობა თავად რექტორმა ითავა. უნივერსიტეტში ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება, როგორც იტყვიან, დუღდა და გადმოდუღდა. მარტო ის რად ღირს, რომ 1951 წელს ჰელსინკის ოლიმპიადაზე — პირველ ოლიმპიურ თამაშებში, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენები გამოდიოდნენ, ჩვენი გუნდის წევრთაგან შვიდი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.

ოღონდ იმ სპორტულ ღონისძიებებში უნივერსიტეტში ან მის ფარგლებს გარეთ რომ ტარდებოდა, ჩამორჩენილი სტუდენტი, რექტორის ბრძანებით, მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მისი ზრუნვის საგანი მუდამ გონებრივად და ფიზიკურად განვითარებული სტუდენტი იყო. რექტორი პირად მაგალითსაც იძლეოდა — საქართველოს მთა-ბარი მან ფეხით მოიარა.

„ჩემი პირველი მეცნიერული ნაშრომები, მაგალითად „სვანეთის სარეველა მცენარეები", „მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობისა კავკასიონზე", დაკავშირებულია ჩვენი ალპინიზმის გარიჟრაჟთან, — გვიამბო ერთხელ ნიკო კეცხოველმა, — ალპინისტური ექსპედიციების დროს ვაგროვებდი მასალას და ჩემს ისედაც მძიმე ბარგს კიდევ უფრო ვამძიმებდი მთა-ბარში მოგროვილი მასალით".

აი, ამიტომაც „ჩვენი სტუდენტობა იყო სპორტი, ურომლისოდაც უნივერსიტეტი არ არსებობდა".

უნივერსიტეტელთა სპორტულ ცხოვრებას რომ ვიხსენებთ, როგორი ფრაგმენტული და ძუნწიც არ უნდა იყოს იგი, შეუძლებელია არ გავიხსენოთ პროფესორ გიორგი ნიკოლაძის სახელი. ფრიად საინტერესოა გადამდგარი ადმირალის მიხეილ ჯინჭარაძის მოგონება:

— გიორგი ნიკოლაძე ხშირად გვკრებდა უნივერსიტეტის სტუდენტებს, „შევარდენის" წევრებს, სხვა ახალგაზრდებს და ლაშქრობებში დავყავდით. ამგვარ მოგზაურობებს „გაფრენებს" ვეძახდით. ერთ-ერთი „გაფრენის" შემდეგ გიორგიმ შემოგვაპარა, მოდით, მყინვარწვერზე ვცადოთ ასვლაო. და ავედით კიდეც. ეს მოხდა 1923 წელს, 28 აგვისტოს, 15 საათსა და 30 წუთზე. ასე ჩაუყარა საფუძველი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას გიორგი ნიკოლაძემ.

დიახ, სწორედ მყინვარწვერზე თბილისის უნივერსიტეტის ლაშქრობამ დაუდო სათავე საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას. მას შემდეგ საქართველოში ალპინისტთა უპირველესი სამჭედლოს რეპუტაცია თბილისის უნივერსიტეტს დღემდე არ დაუკარგავს.

ახლა ფიქრით ისევ უნივერსიტეტის პიკზე ვართ. იქედან მთელი ჰიუხების მასივი, მისი მწვერვალები ისე მოჩანს, როგორც ჩვენს პირდაპირ კედელზე დაკიდებული ნახატები. მაშინ, იმ ექსპედიციის დღეებში, საქართველოს ალპინისტთა ექსკაციანმა ნაკრებმა (აგი აბაშიძე, სერგო ბარლიანი, შაქრო გაბისიანი, დიმიტრი დანგაძე, შოთა მირიანაშვილი, ოთარ ხაზარაძე), რომელთაგან ხუთნი სწორედ თბილისის უნივერსიტეტის მთამსვლელთა სექციის წევრები იყვნენ, ჰიუხების ტრავერსი განახორციელეს და საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. იმ ლაშქრობისას მთამსვლელებმა უსახელო მწვერვალებს გამოჩენილ მამულიშვილთა სახელები უწოდეს. ერთ-ერთ მწვერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელი ეწოდა.

პეტრე მელიქიშვილმა, რუსეთსა და ევროპაში ფრიად აღიარებულმა მეცნიერმა, თბილისის უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა, 1924 წელს უნივერსიტეტის საბჭოს სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნა: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა. აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეცილება".

...1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) თბილისის პირველი გიმნაზიის შენობაში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა.

„საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართული უნივერსიტეტის ყოველმხრივი კვლევაძიების უპირველეს მიზანს", — ასე ჩამოაყალიბა ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ამოცანები.

ამ ამოცანებს წყვეტდნენ უნივერსიტეტის სწავლული მთამსვლელებიც.

...ახლა იქ, ჰიუხების ცადატყორცნილ მასივზე ერთმანეთის გვერდით აღმართულან: „უნივერსიტეტი", „ივანე ჯავახიშვილი", „ექვთიმე თაყაიშვილი"... თბილისის უნივერსიტეტი და მათი სახელები განუყოფელია. მათი სახელები მთამსვლელებმა არც კავკასიონზე დააშორეს ერთმანეთს.

...სახელოვან სპორტულ ტრადიციებს დღესაც წარმატებით აგრძელებს ჩვენი უნივერსიტეტი.

**ავთანდილ გურასაშვილი.**



## ტრადიციისადმი ერთგულება

**სტუდენტური** სპორტის საინტერესო და მდიდარ ტრადიციას ჩვენში საფუძველი ჩაეყარა თბილისის უნივერსიტეტის გახსნის პირველსავე წლებში. მაგრამ ფიზკულტურული მოძრაობისთვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებელი ბაზა ჩვენში ჯერ კიდევ დიდხანს არ არსებობდა. 30-იანი წლების დასაწყისში ეს ფუნქცია დაკისრებული ჰქონდა ამიერკავკასიის ფიზკულტურის სამენოვან ინსტიტუტს, რომელიც ბაქოში გაიხსნა და რომელშიც სწავლება აზერბაიჯანულ, ქართულ და სომხურ ენებზე იყო.

1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ფიზკულტურის ფაკულტეტი — რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფაქტიური ცენტრი, რომლის პირველი დეკანი პროფესორი გიორგი მღებრიშვილი გახლდათ. მომავალ ფიზკულტურულ კადრებს იმ პერიოდში ლექციებს უკითხავდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: ივანე ბერიტაშვილი, ალექსანდრე ნათიშვილი, რევაზ ნათაძე, გიორგი მღებრიშვილი, დარგის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი სპეციალისტები გიორგი ეგნატაშვილი, არჩილ ბაქრაძე, ლევ გოლოვნია, გიორგი რცხილაძე, არჩილ წერეთელი...

სამი წლის შემდეგ, 1938 წლის 14 მარტს საქართველოს მთავრობის დადგენილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი. ფუნქციები თითქოს გადანაწილდა: მშრომელთა ფართო მასების ფიზიკური აღზრდის სრულყოფისათვის კადრების მომზადება თავისთავად ახლადშექმნილ ინსტიტუტს დაევალა, მაგრამ არც უნივერსიტეტს შეეძლო უარი ეთქვა თავის ტრადიციაზე. სპორტი ბოლომდე საუნივერსიტეტო ცხოვრების ერთ-ერთი სავალდებულო და აქტიური თანამგზავრი გახდა.

...50-იანი წლების სტუდენტებს ეს ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი. მათ დღესაც კარგად ახსოვთ, თუ რა დიდებულ ზეიმს წარმოადგენდა ყოველი საუნივერსიტეტო სპარტაკიადა, უბრალო შეჯიბრებები ფაკულტეტებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ამხანაგური შეხვედრები თბილისის უძლიერეს გუნდებთან, ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენებთან. უნივერსიტეტი წლების მანძილზე აქტიურ პროპაგანდას უწევდა სპორტის ეროვნულ სახეობებს, განსაკუთრებით ქართულ ჭიდაობას, ჰყავდა ფალავანთა ძლიერი გუნდი (რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონის სიმონ მაისურაძის თავკაცობით), რომელიც წარმატებით ასპარეზობდა საქალაქო თუ რესპუბლიკურ ტურნირებში.

კრივი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ძალოსნობა, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ტანვარჯიში... სპორტის რომელი სახეობის სექციებში არ იყვნენ ჩაბმული უნივერსიტეტის სტუდენტები, მაგრამ მათ ყველას ერთი დიდი სიყვარული ჰქონდათ. ეს იყო კალათბურთი — სპორტი, რომელიც მუდამ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ამ უმაღლეს სასწავლებელში.

ქვედა ფოტოზე აღბეჭდილია უნივერსიტეტის გუნდი და მისი მწვრთნელი დავით ქამუშაძე. სურათი გადაღებულია 1956 წლის 15 მაისს ერთ-ერთ შეჯიბრებაში გამარჯვების შემდეგ. მარჯვნიდან — დავით ქამუშაძე, ზაურ ჯულუხაძე, ალექსანდრე გერასიმოვი, გიული დუნდუა, მიხეილ თარხნიშვილი, ანზორ ხომერიკი და ოთარ ჩაჩუა.

ზედა ფოტოზე გამოსახულია საუნივერსიტეტო სპარტაკიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. უნივერსიტეტის რექტორს აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძეს პატაკს აბარებს სასწავლებლის სპორტკლუბის თავმჯდომარე დავით ქამუშაძე.



თბილისის უნივერსიტეტი

## საუკეთესონი უნივერსიტეტში

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტში ბევრი ცნობილი სპორტსმენი სწავლობს და უნივერსიტეტელებმაც გადაწყვიტეს გამოკითხვის საშუალებით მათ შორის საუკეთესოები დაესახელებინათ (გასული წლის სპორტული შედეგების გათვალისწინებით).

**დავით გობეჯიშვილი** — საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტის III კურსი.

**მიხეილ გიორგაძე**, იურიდიული ფაკულტეტის VI კურსი.

**ვლადიმერ გოგოლაძე**, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის II კურსი.

**კახა წაქაძე**, იურიდიული ფაკულტეტის II კურსი.

**ინგა ბერიძე**, ეკონომიკის ფაკულტეტის IV კურსი.

**მედეა მხეიძე**, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსი.

**ნინო გელაშვილი**, ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსი.

**ინგა გიორგობიანი**, ისტორიის ფაკულტეტის II კურსი.

**ანდრეი ტიუნინი**, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

# საფეხბურთო სეზონის წინ

**საკდესის კორესპონდენტი ეწვია სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსს, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ვიაჩესლავ კოლოსკოვს და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა ახალი საფეხბურთო სეზონის წინ.**

— დავიწყებ იმით, — თქვა ვ. კოლოსკოვმა, — რომ აღვნიშნავ შარშანდელი სეზონის უმთავრეს დადებით მოვლენებს. ჩვენმა ნაკრებმა გუნდებმა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, კერძოდ: პირველი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, ოლიმპიური გუნდი წარმატებით თამაშობს შესარჩევ მატჩებში და ფინალში მოხვედრის საუკეთესო შანსებს ინარჩუნებს, ჩინებულ შედეგებს მიაღწიეს ჭაბუკებმაც, რომლებმაც 16 წლამდე ასაკის მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავეს. წარმატებით გამოდიან შესარჩევ მატჩებში ჩვენი ჭაბუკების სხვა გუნდებიც.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ შარშანდელ სეზონში ნეგატიური მომენტები გაცილებით მეტი იყო. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ჩვენი საკლუბო გუნდების მონაწილეობას ევროპულ ტურნირებში. შეჯიბრება ექვსმა გუნდმა დაიწყო, მეოთხედფინალს კი მხოლოდ ერთმა მიაღწია — მინსკის „დინამომ". გარდა ამისა, შარშან არ გამოვლენილან ახალგაზრდა ტალანტები, სამწუხაროდ, ვერც ერთ გვარს ვერ დაგისახელებთ. უფრო მეტიც: ისინიც კი, რომლებიც მანამდე დიდ იმედს გვინერგავდნენ, ადრინდელ დონეზე გაიყინენ. ეს—მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში.

დაბოლოს, მსაჯობა. სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩებში არბიტრები, როგორც არასდროს, უხეშ შეცდომებს უშვებდნენ, ბევრმა ასეთმა შეცდომამ მატჩების შედეგებზეც მოახდინა გავლენა. ეს გამოწვეული იყო მსაჯთა საკავშირო კოლეგიის მოუქნელი მუშაობით, მან ვერ შეძლო გარდაქმნა, ვერ შეარჩია ახალგაზრდა მსაჯები, რომლებიც ფეხბურთის დღევანდელი განვითარების დონეს უპასუხებდნენ. ნაცვლად იმისა, რომ განეახლებინა მსაჯთა კორპუსი, მოეძებნა ახალგაზრდა, პერსპექტიული არბიტრები, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის ხელმძღვანელობა უმთავრესად ამბიციური მეთოდებით ცდილობდა „მუნდირის ღირსების" დაცვას. ფეხბურთის მსაჯობაში ჩვენ სადღეისოდ რადიკალური ცვლილებები გვჭირდება.

ახლა წინამდებარე სეზონის შესახებ. იგი ბევრ რამეში გარდაქმნითი იქნება იმ მიმართებით, რომ საჭიროა ძირეულად გარდავქმნათ საბჭოთა ფეხბურთის რთული მეურნეობა, წინ გვიძევს მრავალი სერიოზული შეჯიბრება: ევროპის ჩემპიონატის ფინალური თამაშები, ოლიმპიური ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრები, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სასტარტო შესარჩევი მატჩები, ევროპის საკლუბო ტურნირები და სხვა მრავალი.

სეზონი მეტად რთული იქნება. მთავარ ამოცანად მიგვაჩნია ნიჭიერი, სრულყოფილი ოსტატების აღზრდა. ფუნქციური მომზადებისა და კოლექტიური შეთამაშების ტრადიციები, ასე თუ ისე, გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით აღმზრდელობით საკითხებში, მრავალი ნიჭიერი ფეხბურთელი გვეკარგება ჯერ კიდევ ჭაბუკთა გუნდებში, ხოლო ოსტატთა კოლექტივებში ნაკლებად ზრუნავენ კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდების სრულყოფაზე. შემიძლია დაგისახელოთ ზოგიერთი ფეხბურთელი, ვთქვათ, ტარანი, ერიომენკო და სხვანი, რომლებიც დიდ იმედებს იძლეოდნენ ჭაბუკობის წლებში, შემდეგ კი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ბევრ ჩვენ მწვრთნელს უნარი არა აქვს გადამწყვეტი მატჩებისთვის სრულ მზადყოფნაში იყოლიოს გუნდები, კერძოდ, ევროპის საკლუბო ტურნირებში მარცხი უმთავრესად იმის გამო განვიცადეთ, რომ მწვრთნელებმა ვერ შეძლეს უნარიანად, პედაგოგიური თვალსაზრისით სწორად წარემართათ ფეხბურთელთა მზადება და ნამდვილ საბრძოლო ფორმაში ჰყოლოდათ ისინი საჭირო მომენტისთვის.

კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რასაც საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ: ესაა მოთამაშეთა სანებისყოფო, ფსიქოლოგიური სრულყოფა. ჩვენი ფეხბურთელები ვერ შეეჩვივნენ უშეღავათო სპორტულ ბრძოლას მთელი მატჩის მანძილზე. მრავალი მათგანი სწორედ მაშინ ყრის ფარხმალს, როცა რთული, კრიტიკული მდგომარეობა იქმნება, როცა თავს იჩენს უცხო მინდვრისა და მაყურებლის ფაქტორი, ან მსაჯთა არაობიექტურობა. ფეხბურთელის ხასიათი უნდა გამოვაწრთოთ, წესრიგის უხეშ დარღვევას და მსაჯებთან დავას ჯერ არავისთვის მოუტანია ხეირი.

ყველა იმ რთული საკითხის წარმატებით გადაჭრა, რაც მე ჩამოვთვალე, მწვრთნელთა უპირველესი მოვალეობაა. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენი მწვრთნელების მუშაობაში ჯერ კიდევ გარკვეული უმოძრაობა იგრძნობა. შემიძლია აღვნიშნო მხოლოდ ვილნიუსის „ჟალგირისის" მწვრთნელის ბ. ზელკიავიჩიუსის პროგრესი, როცა უნივერსიადა-87-ის ტურნირის მეტად ძნელ სიტუაციაში მან და მისმა კოლექტივმა ნამდვილი საბრძოლო ხასიათი გამოიჩინეს.

გვაწუხებს შეჯიბრებათა კალენდარიც, ამიტომაც სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია პრესის კრიტიკა. ეს განსაკუთრებით ეხება მატჩების გადატანას, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი ცვლილებები ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული. მაგალითად, კიევის „დინამომ" შარშან მეტად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო ვერ შეძლო ჩემპიონატის პირველ მატჩებზე ჩასვლა და ამის გამო დაგვჭირდა თამაშების გადადება. კარგად ვერ გამოვიანგარიშეთ ყველა ის საკითხი, რომლებიც დაკავშირებული იყო ნაკრები კოლექტივების, განსაკუთრებით ოლიმპიური გუნდის [illegible] კომპლექტებასთან. [illegible] თითოეული კლუბიდან ორ-ორი მოთამაშის მიწვევა, მაგრამ გამოვიდა ისე, რომ ერთი გუნდიდან ხუთი ფეხბურთელი ავიყვანეთ, მეორედან — სამი, მესამიდან — ოთხი და ბოლოს ასეთი იძულებითი არჩევანის წინაშე დავდექით: ან უნდა „დაგვესაჯა" კლუბები, რომლებიც ფეხბურთელებს გვაძლევდნენ ნაკრები გუნდებისთვის, ანდა გადაგვეტანა მათი კალენდარული თამაშები. ამიტომაც მეორე გზა ავირჩიეთ, ვინაიდან კლუბების დაზარალება მართებული არ იქნებოდა. წლეულს გადაწყვეტილი გვაქვს ზუსტად დავიცვათ კალენდარი.

ზოგიერთი მწვრთნელი მოითხოვს ჩვენი საფეხბურთო სეზონის გადაყვანას „შემოდგომა-გაზაფხულის" სისტემაზე. მაგრამ მას სერიოზული ნეგატიური მომენტებიც გააჩნია. ასეთი სეზონი აუცილებელ შესვენებას მოითხოვს შუაგულ ზაფხულში, ეს კი სწორედ ის პერიოდია, როცა ჩვენში საუკეთესო ამინდებია ფეხბურთელებისთვისაც და მაყურებლებისთვისაც. თუ ზაფხულის თვეები ამოვშალეთ გრაფიკიდან, სეზონის ნახევარზე მეტი, გაზაფხულზე და შემოდგომით, ჩვენი ჩემპიონატი უაღრესად არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩაივლის. სანამ საკმარისი რაოდენობით არ გვექნება სათამაშო მინდვრები ხელოვნური გათბობით და გადახურული ტრიბუნები, ჩემპიონატის ახალ სისტემაზე გადასვლა ნაადრევად მიგვაჩნია.



გრძელდება ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატი.

**ესპანეთი**

**XX ტური.** „საბადელი" — „ატლეტიკო" (მადრიდი) 1:1, „მალიორკა" — „ატლეტიკო" (ბილბაო) 0:1, „ლიგრონესი" — „ვალენსია" 2:1, „ვიგო" — „ესპანიოლი" 3:0, „ბეტისი" — „სევილია" 0:1, „ბარსელონა" — „ლას პალმასი" 1:1, „მურსია" — „ოსასუნა" 1:0, „ვალიადოლიდი" — „ხიხონი" 2:0, „რეალი" (მადრიდი) — „კადისი" 4:0, „სან სებასტიანისა" და „სარაგოსას" შეხვედრა გადაიდო.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 20 | 53-12 | 34 |
| „ატლეტიკო" (მადრ.) | 20 | 33-17 | 28 |
| „სან სებასტიანი" | 19 | 35-14 | 27 |

**პორტუგალია**

**XIX ტური.** „ბენფიკა" — „პორტო" 1:1, „ბელენენსეში" — „ვარზიმი" 2:2, „კოიმბრა" — „კოვილია" 1:1, „ფარენზე" — „სეტუბალი" 0:0, „ესპინიო" — „პორტიმონენსე" 2:3, „რიო ავე" — „მარიტიმო" 1:1, „პანაფელი" — „სპორტინგი" 4:0, „სალგეიროში" — „ელვაში" 2:1, „შავიში" — „ბრაგა" 2:0, „გიმარაეშ" — „ბოავიშტას" შეხვედრა გადაიდო.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტო" | 19 | 49-10 | 34 |
| „ბენფიკა" | 19 | 26-10 | 27 |
| „შავიში" | 19 | 38-18 | 24 |

**ბელგია**

**XXI ტური.** „ვინტერსლაგი" — „ვარეგემი" 0:0, „სენტ ტრიუდენი" — „რესინგი" 1:0, „ანტვერპენი" — „შარლერუა" 0:2, „ანდერლეჰტი" — „ლიეჟი" 0:0, „გენტი" — „ბეერსკოტი" 1:0, „კორტრიკი" — „მეხელენი" 2:5, „სტანდარდი" — „ლოკერენი" 1:1, „სერკლ ბრიუგე" — „ფკ ბრიუგე" 0;2, „ბევერენი" — „მოლენბეკი" 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მეხელენი" | 21 | 35-18 | 32 |
| „ანტვერპენი" | 21 | 50-21 | 32 |
| „ფკ ბრიუგე" | 21 | 49-25 | 31 |

**ჰოლანდია**

**XXI ტური.** „ცვოლე" — „დენ ბოში" 3:2, „ალკმაარი" — „ვენდო" 0:0, „ჰარლემი" — „ტილბურგი" 1:3, „ეინდჰოვენი" — „ჰააგა" 9:1, „ლორდრეჰტი" — „აიაქსი" 1:3, „სპარტა" — „სიტარდი" 1:1, „როდა" — „ვოლენდამი" 2:2, „გრონინგენი" — „ფეიენოორდი" 2:0, „ტვენტე" — „უტრეხტი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 19 | 79-16 | 37 |
| „აიაქსი" | 21 | 56-29 | 32 |
| „ტილბურგი" | 21 | 38-29 | 24 |

**საბერძნეთი**

**XVII ტურის** შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლარისა" | 17 | 37-14 | 26 |
| „აეკი" | 17 | 33-19 | 24 |
| „პაოკი" | 17 | 39-15 | 23 |
| „კრეტა" | 17 | 39-23 | 23 |

**იტალია**

ეროვნულ ჩემპიონატში 16 თამაშის შემდეგ ბომბარდირთა სია ასეთია: მარადონა („ნაპოლი") — 9 გოლი, პოლსტერი („ტორინო"), ელკიაერი („ვერონა"), კარეკა („ნაპოლი"), სლიშკოვიჩი („პესკარა") — 7-7 გოლი თვითეულს, შაჰნერი („ასკოლი"), გულიტი („მილანი"), ჯორდანო („ნაპოლი"), პასარელა („ინტერი"), ჯანინი („რომა"), ბონეკი („რომა") — 6-6 გოლი თვითეულს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სიაში ჯორდანოსა და ჯანინის გარდა ყველა ფეხბურთელი უცხოელია.

საკუთარი ინფორმაცია.

# იოგა—ჯანმრთელობის სამსახურში

## მხედველობის ჰიგიენა და ყურადღების კონცენტრაცია

**(ტრატაკა)**

**ვარჯიშებს,** რომლებსაც იოგები თვალების „გასუფთავებისათვის" და ყურადღების კონცენტრაციისათვის გვთავაზობენ, ეწოდება „ტრატაკა", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ყურადღების დაძაბვა", „ყურადღების კონცენტრაცია". „იოგაშასტრა" ტრატაკის სახელწოდებით აღწერს თვალების ვარჯიშებს, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სათანადო ობიექტზე დაძაბულ დაკვირვებას.

ფიზიკური თვალსაზრისით ტრატაკის ვარჯიშები წარმოადგენს მზერის შეჩერებას ანთებული სანთლის ალზე, ცხვირის წვერზე, წარბთაშორის მანძილზე მზის, მთვარის ან სხვა საგნების მიმართულებით.

იოგათა კომპლექსი განუყოფელია ვარჯიშებზე ყურადღების კონცენტრაციისა და აზროვნების გამახვილებისაგან. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ თუ მთელ ფიქრებს ერთი მიმართულება აქვს, თუ მთელი ყურადღება გამახვილებულია ერთ მიზანზე, მიიღწევა ორი შესანიშნავი შედეგი: ეს არის თვით ვარჯიშის შესრულებაზე კონკრეტული ზემოქმედება და მეორე — ისეთი უნარის გამომუშავება, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამაღიზიანებელი ობიექტის ზემოქმედების მიუხედავად, მთლიანი კონტროლი დავუწესოთ საკუთარი აზრის წარმართვას.

აზრის კონცენტრირების უმაღლესი საფეხურია მედიტაცია, ანუ ღრმად ჩაფიქრება, რასაც ვარჯიშების შესრულებისა და თვით აზროვნებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ აზრის ნამდვილ და სრულფასოვან კონცენტრაციას, ვარჯიშებისათვის უნდა შევარჩიოთ შესაფერისი ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი ვარჯიში შესრულდება მექანიკურად და უმიზნოდ, ხოლო ეფექტიანობა კი უმნიშვნელო იქნება. ამიტომ, იოგები გვირჩევენ აზრის კონცენტრირებისათვის შევარჩიოთ მყუდრო ადგილი. დამწყებისათვის შეიძლება შესაფერის ადგილად გამოდგეს მყუდრო ოთახი, სადაც მეცადინეობის დროს არავინ იქნება. ყურადღების კონცენტრაცია შეიძლება განვახორციელოთ ტყიან ადგილზე. იგი ეფექტიან გავლენას ახდენს ტვინის მოქმედებაზე, რადგანაც ავითარებს არა მარტო ყურადღებას, არამედ ნებისყოფას, აზრთა კონცენტრირების უნარს, მისწრაფვას და წარმოსახვას.

სანამ ასანების შესრულებას დავიწყებდეთ, აუცილებლად უნდა დავეუფლოთ ყურადღების კონცენტრაციას, ამით შევძლებთ ყოველი ვარჯიშის შესრულების დროს წარმატებით ვმართოთ ჩვენი შინაგანი ორგანოები.

**ვარჯიში პირველი ანთებულ სანთელზე მზერის ფიქსაცია**

სანამ ასანებს შეისწავლიდეთ, დაჯექით „ბრილიანტის" პოზაში, ხოლო როდესაც დაეუფლებით „სიდხასანას" ან „პადმასანას", შეიძლება მათგან ერთ-ერთი პოზა მიიღოთ. ანთებული სანთლის ალი მოათავსეთ თვალების დონეზე და დააშორეთ თვალებიდან 50 სანტიმეტრიდან 1 მეტრამდე. ფართოდ გაღებული თვალებით დააკვირდით ალის (რელსს) ცენტრს, სანამ თვალები არ დაგეცრემლებათ. დახუჭეთ თვალები. კაშკაშა ობიექტზე ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ დახუჭული თვალების წინ რჩება მისი ნათელი „კვალი", რომელმაც უნდა გააღიზიანოს ტვინის მხედველობითი ცენტრები. შეეცადეთ გადაიტანოთ ეს ნათელი „კვალი" წარბთაშორის მანძილში. თავიდან კვალი ნათელი იქნება, შემდეგ თანდათანობით გაფერმკრთალდება და გაქრება. გაიმეორეთ ვარჯიში. ჩაატარეთ ვარჯიში ყოველდღიურად, სანამ არ გამოიმუშავებთ უნარს უყუროთ ალს 10-12 წუთის განმავლობაში თვალდაუხამხამებლად. რამოდენიმე ვარჯიშის შემდეგ თქვენ აღმოაჩენთ, რომ ნათელი „კვალის" ცენტრი გარშემორტყმულია მრავალი უფრო მკრთალი ნათელი წერტილით. ნუ მოაშორებთ მზერას ცენტრალურ წერტილს. ბოლოს, როდესაც თქვენ მიაღწევთ იმას, რომ დაინახავთ მხოლოდ ნათელ წერტილს სანთლის ადგილას, თქვენ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ დაეუფლეთ ამ ვარჯიშს. ვარჯიშის სრული დაუფლება მოხდება მაშინ, როდესაც თქვენ გაგიჩნდებათ შეგრძნება თითქოს „იფლობით" ამ წერტილში ან უერთდებით მას.

ეს ვარჯიში, როგორც მოგახსენეთ, ეხმარება იოგებს ყურადღების დაძაბვაში. ტრატაკა (თვალების სხვა ვარჯიშებთან ერთად) ამაღლებს მხედველობის სიმძაფრეს და ეხმარება მხედველობის ზოგიერთი ანომალიების მკურნალობას. თვალები ხდება ბრწყინვალე, გამოხედვა კი მკაფიო.

ანთებულ სანთლის ალზე მზერის ფიქსაციის დროს საჭიროა:

1) შეარჩიოთ შესაფერი ადგილი, სადაც სიწყნარე იქნება და არაფერი მიიქცევს თქვენს ყურადღებას. ჩამოუშვით ფარდები, ჩაკეტეთ კარები, რომ არავინ არ შეგაწუხოთ.

2) მიიღეთ მოხერხებული მედიტატიური პოზა და შეინარჩუნეთ იგი 15 წუთის განმავლობაში.

3) კონცენტრაციის დროს სრულიად მოდუნდით. რელაქსაცია გამორიცხავს თქვენი სახსარ-კუნთოვანი აპარატის გაღიზიანებას, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტთან მთლიანი „შერწყმის"

იხ. მე-4 გვ.

გაგრძელება. იხ. „ლელო" 1987 წლის №№ 205, 210, 215, 220, 225, 229, 234, 239, 244, 248; 1988 წლის № 3, 7, 12, 17, 22.

# დღეს, ანგისის იპოდრომზე

**პირველი** ხანია საქართველოში მძლეოსანთა ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება აღარ ჩატარებულა: დღეს ხელვაჩაურის რაიონის ანგისის იპოდრომზე გაიმართება საერთაშორისო მძლეოსნური კროსი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სტაიერებთან ერთად ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და გდრ-ის სპორტსმენები იასპარეზებენ. მონაწილეთა შორის იქნება საქართველოს 6 მორბენალი — ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონის თბილისელი ოლეგ სტრიჟაკოვის მეთაურობით.



შეჯიბრების საზეიმო გახსნა 11.30 საათზე შედგება. გოგონები 4-კილომეტრიან მანძილზე იასპარეზებენ, ქალები — 6 კმ-ზე. ჭაბუკთა და ვაჟთა გარბენები შესაბამისად 8 და 12 კილომეტრს ითვალისწინებს. შეჯიბრებების მთავარი მსაჯია საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვალერი ვაშაკიძე (თბილისი).

# უნივერსიტეტი და ფიზკულტურის ინსტიტუტი

**უმაღლესი** სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ფრენბურთელებმა ასპარეზობა დაამთავრეს ქვეჯგუფებში. პირველ ჯგუფში წარმატება წილად ხვდა თბილისის უნივერსიტეტის გუნდს, მეორე ადგილზე გავიდნენ უცხო ენების ინსტიტუტის წარმომადგენლები. მეორე ქვეჯგუფში უძლიერესი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელთა გუნდი იყო. აქ ფინალური ასპარეზობის მეორე საგზური მოიპოვეს თელაველმა მასწავლებლებმა. ასპარეზობაში 12 გუნდი მონაწილეობდა.

დღეს გაიმართება ფინალური შეჯიბრებები.

**ნანა ჯალიაშვილი.**

# კიდევ ერთი გამარჯვებული

კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში დასრულდა პრეტენდენტ ვაჟთა ორი დამატებითი მატჩი ჭადრაკში.

ერთმა გამოავლინა გამარჯვებული — ისლანდიელი იოჰან ჰიარტარსონი, რომელმაც სძლია შვეიცარიელ ვიქტორ კორჩნოის — 4,5:3,5 (დამატებითი მატჩის ბოლო პარტია მან მოიგო). ამრიგად, ჰიარტარსონი მსოფლიო პირველობის ახალი ციკლის მეოთხედფინალური მატჩების მეექვსე მონაწილე გახდა. რაც შეეხება ინგლისელი კევინ სპრაგეტისა და ანდრეი სოკოლოვის დამატებით მატჩს, იგი კვლავ ფრედ — 1:1 — დამთავრდა. ახლა, მერვედფინალური ორთაბრძოლების ბოლო, მეშვიდე გამარჯვებულის გამოსავლენად სოკოლოვსა და სპრაგეტს შორის დაინიშნება ბლიცტურნირი პირველ მოგებამდე. პირველი პარტია, რომლისთვისაც განკუთვნილია ერთი საათი, გაიმართება დღეს და თეთრებით ითამაშებს საბჭოთა დიდოსტატი. ყაიმის შემთხვევაში, მეორე პარტიაც ასეთი რეგლამენტით მოეწყობა. თუ ისიც ყაიმით დამთავრდა, დაინიშნება ორი ნახევარ-ნახევარ საათიანი პარტია, შემდეგ 15-15-წუთიანი პარტიები და ა. შ. რომელიმე მოჭადრაკის პირველ მოგებამდე.

## კვირიდან კვირამდე

**„იზვესტია“ — 2 თებერვალი.** „ნაკრებში — შეთავსებით“. ჩვენს ქვეყანაში ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე მწვრთნელი მუშაობს კლუბშიც და ნაკრებშიც.

**3 თებერვალი.** წარმატებით დაიწყო ახალი სეზონი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელმა ანდრეი ჩესნოკოვმა. გაზეთი მკითხველებს სთავაზობს მასთან ინტერვიუს.

**„კომსომოლსკაია პრავდა“ — 6 თებერვალი.** „ჩაეჭიდე ჰაერს“. ახალგაზრდა გამომგონებლები გახდნენ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატები. რა შეიცვალა ამით მათ ცხოვრებაში?

**„ტრუდი“ — 3 თებერვალი.** „ვინ არის წინააღმდეგი, როდესაც ყველა თანახმაა?“ ფეხბურთის შემდგომი განვითარების პრობლემებზე საუბრობს სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი.

**„სოვეტსკი სპორტი“ — 31 იანვარი.** „დაწერილი და დაუწერელი კანონებით“. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია მუშაობს ფეხბურთელების კლუბიდან კლუბში გადასვლების განცხადებებზე. ამ საკითხით დაინტერესებული არიან მკითხველებიც.

**3 თებერვალი.** „მრუდე სარკეების სამეფოში“. ზამთრის ოლიმპიადის გახსნამდე რამოდენიმე დღე დარჩა.

**4 თებერვალი.** რუბრიკით „პარიზიდან მიუნჰენამდე“ გაზეთი იწყებს დოკუმენტური ქრონიკალური მოთხრობის ბეჭდვას, სადაც ლაპარაკია საბჭოთა ფეხბურთელების მონაწილეობაზე ევროპის პირველობებში.

**6 თებერვალი.** „რამდენჯერ ამიწევია ხელთათმანი...“ რუბრიკის „პორტრეტი გრიმის გარეშე“ სტუმარია წარსულში ცნობილი საბჭოთა მოკრივე რიჩარდას ტამულისი.

## საჭადრაკო კომპოზიცია

ხელმძღვანელი ჟაჟა ნებიძე

### განსაკუთრებული სვლები

ჭადრაკის თამაშში ასეთ სვლებს მიეკუთვნება: როქი, პაიკის გავლით ალება და პაიკის გარდაქმნა სხვა ფიგურად ანუ ფიგურის „გაცოცხლება“. ამ არაორდინარული სვლების გამოყენება თამაშის დროს ზოგჯერ პოზიციის არსებით შეცვლას იწვევს. საჭადრაკო კომპოზიტორები ხშირად მიმართავენ ამ ტაქტიკურ იარაღს, ხან კი, მათი ხაზგასმით წარმოჩენა ნაწარმოებში საამოცანო თემას ქმნის. აღსანიშნავია, რომ გამოჩენილმა პრობლემისტმა და ამოცანების კოლექციონერმა ა. უაიტმა თითოეულ ამ მახვილ სვლას („პუანტას“) სპეციალური კრებული მიუძღვნა თავის ცნობილ „საშობაო სერიაში“.

ვ. ფონ ჰოლცჰაუზენი, 1903



შამათი 3 სვლაში

ამ ერთი შეხედვით მარტივ ამოცანაში შავი კუ მეფეს საიმედოდ იცავს. მცველი „ოფიცრის“ უვნებელყოფა შემდეგნაირად ხდება: 1. კh2! (მიტყუება) კ:h2 2. g4+ hg (გავლით) სწორედ ამ სვლამ ითამაშა დამღუპველი როლი — დიაგონალი გადაუკეტა თავის კუს და 3. ეe5X

პაიკის სხვა საინტერესო თვისება — ფიგურის გაცოცხლება ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული და მრავალი ვარიაციის შემცველი თემაა კომპოზიციაში. განსაკუთრებით შთამბეჭდავია უკანასკნელ ხაზზე მისული პაიკის გარდაქმნა ლაზიერზე უფრო სუსტ ფიგურად (ეტლი, კუ, მხედარი). კომპოზიციაში გარდაქმნის ამ სახეს „სუსტ გაყვანას“ უწოდებენ.

ბევრი ორიგინალური ლოგიკური საამოცანო იდეაა განხორციელებული როქის მოტივზეც. ხანდახან კი თვით როქი ამოხსნის „კულუარებში“ რჩება.

ე. ცეპლერი, 1929



შამათი 4 სვლაში

საკმაოდ ბუნებრივ პოზიციაში მცდარ კვალს წარმოადგენს ვარიანტი: 1. ლd6? ვინაიდან 2. ლe7X მუქარას უვნებელყოფს შავების პასუხი 1. ...0-0-0! ამიტომ საჭიროა „მხსნელი“ როქის მოსპობა. ამოცანას ხსნის: 1. მფd4! (მუქარით 2. ლe5+ მფd8/მფf8 3. ეh8X/ლh8X), რის საპასუხოდაც შავები გადამჭრელ ზომებს მიმართავენ — 1. ...ეa4+ 2. მფe5 (მეფე თავის უჯრაზე დაბრუნდა და ლაზიერი მერვე ხაზიდან შამათით იმუქრება) ) ეa8 (ეტლიც დაბრუნდა). ისევ შეიქმნა დიაგრამაზე აღბეჭდილი მდგმარეობა და იბადება კითხვა: რას მიაღწიეს თეთრებმა? ისინი მესამე სვლით პასუხობენ: 3. ლd6 და ირკვევა, რომ შავებს უკვე აღარ შეუძლიათ მეფის ხსნა — როქის პირობები დარღვეულია (ეტლმა ხომ ითამაშა!) და შამათი გარდაუვალია.

ცნობისმოყვარე და მაძიებელ საჭადრაკო კომპოზიტორებს ხელიდან არ გაუშვიათ შემთხვევა — განეხორციელებინათ ზემოთ განხილული სამივე განსაკუთრებული სვლა ერთ ნაწარმოებში. ამ საინტერესო სინთეზს მისი პიონერის, ბრაზილიელი პრობლემისტის მ. ვალადაოს სახელი ჰქვია. ამოსახსნელად გთავაზობთ „ვალადაოს“ თემაზე შექმნილ ორსვლიან ამოცანას, სადაც არაორდინალურ სვლებს შავებისა და თეთრების თამაშში შეხვდებით.

ი. გოდალი, 1961



შამათი 2 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

### ამოხსნა

„ლელოს“ 24 იანვრის ნომერში დაბეჭდილი ბ. ლოუსის სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ლg1! d4 2. ლh1+. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: თინათინ მახათაძე (ზესტაფონი), კ. ვაჩნაძე (ტყიბული), პ. ჩიტაძე (რუსთავი), ნინო კუპრაძე-ჯამასპაშვილი (ხარაგაული), შორენა თათანაშვილი, მ. ზაქარაშვილი (ორივე — კასპი), ხათუნა მაღრაძე, მართა შახნაზაროვი (ორივე — ჭრებალო, ამბროლაურის რ.), ნინო კარგარეთელი, ნინო და ა. ღირსიაშვილები, თ. ფრუიძე, ზ. ქველიაშვილი, ა. წეველიძე, ს. მაღრაძე, ლ. რამიშვილი, ვ. შავგულიძე (ყველა — თბილისი).

# იოგა — ჯანმრთელობის სამსახურში

(დასასრული)

შეგრძნების მისაღწევად. ეს ძნელია იგრძნოთ თავიდან, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც კონცენტრაცია მიაღწევს განსაზღვრულ საფეხურს, თქვენ გამოცდით ობიექტთან სრული „შერწყმის“ შეგრძნებას.

მხედველობის კარგი მდგომარეობა ნაწილობრივ დამოკიდებულია სწორ კვებაზე, აგრეთვე ნერვული სისტემის ნორმალურ მდგომარეობაზე.

**ვარჯიში მეორე**
**წარბთაშორის მანძილზე მზერის ფიქსაცია**

ამ ვარჯიშს ეწოდება ბხრუმადია ტრატაკა (უყურებთ წარბთა შორის მანძილს) ან ნეტრა შაკტივიკასანა (თვალის კუნთების გასამაგრებელი ვარჯიში). თავი გადახარეთ უკან, გადაიტანეთ მზერა წარბთაშორის მანძილში თვალდაუხამხამებლად. ნორმალური სუნთქვით გაძელით ამ მდგომარეობაში იქამდე, სანამ თვალები არ დაგეცრემლებათ (თავდაპირველად 1 წუთზე მეტს ვერ გაძლებთ). ჩაატარეთ ეს ვარჯიში რამდენიმე დღის განმავლობაში. შეეცადეთ არ გაფანტოთ ყურადღება, იგი კონცენტრირებული უნდა იყოს წარბთა შორის მანძილზე. თუ იგრძნობთ დაღლილობას ან გაფანტულობას, შეწყვიტეთ ვარჯიში. მოცემული ვარჯიში ამაგრებს თვალის კუნთებს. ერთ წერტილში მზერის ფიქსაცია, როგორც იოგები ამბობენ, ამაღლებს თვალის ფერადი გარსის კუნთებისა და ბროლის ტონუსს. საერთო ჯამში ააქტიურებს მხედველობითი ანალიზატორის ნერვულ-კუნთოვან აპარატს. ვარჯიში ამაღლებს შემსრულებლის შესაძლებლობებს ყურადღების დაძაბვისადმი და ეხმარება თვალების დაავადებების მკურნალობას. იოგების აზრით, რიგ შემთხვევებში მეცადინეობის 40 დღიანი კურსი (შეუწყვეტლივ) სრულიად საკმარისია შორს მხედველობის ან ახლომხედველობის მსუბუქი ფორმების მკურნალობისათვის.

ის შემსრულებლები, რომლებიც დაუფლებულები არიან იოგების ყურადღების დაძაბვის უმაღლეს ფორმებს, მხედველობითი ანალიზატორების გამოკვლევამ (ბომბეის იოგათა აკადემიაში) დაგვანახა, რომ არსებობს რეფლექტორული დამოკიდებულება ყურადღების კონცენტრირებასა და თვალის კაკლების მდგომარეობას შორის. კონცენტრაციის მაღალი ხარისხის დროს თვალის კაკალი ფიქსირდება წარბთაშორის მანძილის მიმართულებით. ამასთან, გირჩევთ ავარჯიშოთ მზერის ფიქსაციის უნარი წარბთაშორის მანძილზე, რაც ხელს შეუწყობს უფრო თავისუფალ ყურადღების დაძაბვას.

თვალის მამოძრავებელი კუნთების უფრო თანაბარი ვარჯიშებისათვის, იოგები გვთავაზობენ დამატებით ვარჯიშებს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

**ვარჯიში მესამე**
**მზერის ფიქსაცია ცხვირის წვერზე**

ძიილეთ მოხერხებული პოზა და შეხედეთ ცხვირის წვერს. თვალდაუხამხამებლად გაძელით ასეთ მდგომარეობაში ერთი წუთის განმავლობაში. რამდენიმეჯერ გაიმეორეთ ეს ვარჯიში. თუ თქვენ დაგეფანტათ ყურადღება, შეწყვიტეთ ვარჯიში. ესე იგი დაიღალეთ. განაგრძეთ ვარჯიში ცოტაოდენი დასვენების შემდეგ, ან მეორე დღეს. ვარჯიშისას თუ დაღლილობა იგრძენით, შეგიძლიათ დაასვენოთ თვალები — შეხედეთ ჰორიზონტს ან რომელიმე შორეულ საგანს.

**ვარჯიში მეოთხე**
**მზერის ფიქსაცია მხარზე**

დადექით ფეხზე და ეცადეთ თავის შეტრიალების გარეშე გაიხედოთ მარჯვნივ და შეაჩეროთ მზერა მხარზე. გაძელით ამ მდგომარეობაში 1 წუთის განმავლობაში. ისუნთქეთ ნორმალურად, შემდეგ გადაიტანეთ მზერა მარცხნივ და შეაჩერეთ მზერა (იგივე დროით) მარცხენა მხარზე. ეს ვარჯიში ჩაატარეთ ყოველდღიურად და შეეცადეთ გაზარდოთ მისი ხანგრძლივობა 2-დან 3 წუთამდე. ყოველი შესრულების შემდეგ დაისვენეთ რამდენიმე წუთი. თუ სათვალეებს ატარებთ, მოიხსენით ისინი ვარჯიშის შესრულების დროს.

**ალექსი იაკობაშვილი.**
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

(გაგრძელება იქნება)

## ნიკი ლაუდა თავის „მემკვიდრეზე“

1987 წლის ბოლოს „ფორმულა-1“-ის ავტორბოლებით რბოლებში დიდი სენსაცია მოახდინა ავსტრიელი მრბოლის გერჰარდ ბერგერის ბოლო ეტაპებზე მოპოვებულმა წარმატებებმა. მას უკვე ცნობილი ნიკი ლაუდას მემკვიდრედაც ასახელებენ.

— ბერგერი? ო, ეს ცნობილი პილოტია, — თქვა მსოფლიოს ექსჩემპიონმა. — მართალია, მას არ ჰყოფნის გამოცდილება, მაგრამ ერთხელ ჩადენილ შეცდომას მეორედ აღარ იმეორებს და თუ თავის „მარკას“ იპოვის, მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებაც ძალუძს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ 1988 წელს მსოფლიო იერარქიაში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. რა თქმა უნდა, ახლა პიკე და ალბორეტო უფრო სტაბილურად გამოიყურებიან, მაგრამ ჩემი სიმპათიები მაინც ბერგერის მხარეზეა.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

## „სპორტპროგნოზი“

### მეოთხე ტირაჟის შედეგები

(23-24 იანვარი)

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მეოთხე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 23-24 იანვარს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 5.288.511 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1.781) მოგებამ შეადგინა 62 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (67.263) — 3 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (420.265) — 1 მანეთი.

მეოთხე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1988 წლის 18 თებერვლიდან 18 მარტამდე.

## „სპორტპროგნოზი“, მეშვიდე ტირაჟის პროგრამა (13-15 თებერვალი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „ნევა“ (ლენინგრადი) — სპი (თბილისი) ქ. კიევი | 13.II | 50 | 30 | 20 |
| 2. ასკ (კიევი) — მაი (მოსკოვი) ქ. კიევი | 13.II | 60 | 20 | 20 |
| 3. ზიი (ზაპოროჟიე) — სკიფ-ი (კრასნოდარი) ქ. ზაპოროჟიე | 13.II | 50 | 20 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში, ქალები (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 4. „ლუჩი“ (მოსკოვი) — ბპი (მინსკი) ქ. სვერდლოვსკი | 13.II | 50 | 20 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 5. ასკ (სვერდლოვსკი) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი) | 14.II | 60 | 20 | 20 |
| 6. „დინამო“ (მოსკოვი) — ასკ (ხაბაროვსკი) | 14.II | 70 | 10 | 20 |
| 7. „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი) — „იუნოსტი“ (ომსკი) | 14.II | 10 | 40 | 50 |
| 8. „საიანი“ (აბაკანი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 14.II | 50 | 30 | 20 |
| 9. „კუზბასი“ (კემეროვო) — „სტროიტელი“ (სიქტივკარი) | 14.II | 40 | 30 | 30 |
| 10. „დინამო“ (ალმა-ათა) — „ვოდნიკი“ (არხანგელსკი) | 14.II | 60 | 20 | 20 |
| **ზამთრის XV ოლიმპიური თამაშები, ჰოკეის ტურნირი** | | | | |
| 11. აშშ — ჩეხოსლოვაკია I პერიოდი | 15.II | 40 | 20 | 40 |
| 12. აშშ — ჩეხოსლოვაკია II პერიოდი | 15.II | 20 | 20 | 60 |
| 13. აშშ — ჩეხოსლოვაკია III პერიოდი | 15.II | 10 | 10 | 80 |

შენიშვნა: აშშ — ჩეხოსლოვაკიის შეხვედრაში პროგნოზირება უნდა გაუკეთდეს ყოველ სათამაშო პერიოდს ცალ-ცალკე.

## სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

**სპორტული** ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო აცნობებს სპორტული ლატარიების მოყვარულებს, რომლებიც ლენინის მოედანზე მდებარე სპეციალიზებული კიოსკის მომსახურებით სარგებლობენ, რომ „სპორტპროგნოზის“ ბილეთების რეალიზაციის დაწყებასთან და „ბვ“ ნაწილების მკვეთრად გაზრდასთან დაკავშირებით, აქ ბილეთებზე შტამპის დასმა შეწყვეტილია მიწისქვეშა გასასვლელში შეზღუდული პირობების გამო.

ამ კიოსკში „ბვ“ ნაწილები უნდა ჩაუშვათ „სპორტლოტოს“ ყუთში არა უგვიანეს ყოველი პარასკევის 14 საათამდე და არა 17 საათამდე, როგორც ადრე იყო. ეს გამოწვეულია ორივე ლატარიის ტირაჟამდე დადგენილ ვადებში დამუშავების ტექნოლოგიურ მოთხოვნებზე.

ვისაც სურს ბილეთებზე შტამპის დასმა, უნდა მიმართონ „სპორტლოტოს“ რესპუბლიკურ სამმართველოსთან არსებულ სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის ცენტრს (ელიავას ქ. № 26, ტელ. 34-20-00).

**საქსპორტლოტო.**

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბოშარაულის ქ. 29. უე 05153